საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№193/22

2018 წელი, 4 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.არანაკლებ 30000 ამომრჩევლის ინიციატივით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (ზვიად ტომარაძე, სოსო მანჯავიძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, გიორგი ჯანმდელიანი, ნიკოლოზ მჟავანაძე, როინ მიგრიაული, ნიკოლოზ მჭედლიშვილი, ირაკლი აბაშიძე, ნიკოლოზ დარსაველიძე, ზურა მანჯავიძე, შოთა გლურჯიძე, დავით ნოზაძე, ზაზა სიამაშვილი, მამუკა კვარაცხელია, მარინა კაჭარავა, ნანა ხურითი, მიხეილ ონიანი, გიორგი ჯანაძე, დავით ლილუაშვილი, იოსებ ბაჩიაშვილი, ალექსანდრე კეზევაძე, ზაზა დავითაია) განცხადება (N13122; 31.08.2018) გადაეცეს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

2. საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 5 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი